სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 დეკემბერი 2023

N 721/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აჭარის ფილიალის მაღალი ძაბვის (35კვტ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აჭარის ფილიალის მაღალი ძაბვის (35კვტ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა N43;
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N43 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო